**დანართი №1**

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება**

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (შემდგომში ფაკულტეტი) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურას საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

### მუხლი 2. დოქტორანტურა

1. **დოქტორანტურა –** აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური.
2. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა –** აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონით განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
3. **დოქტორანტი –** პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
4. **დოქტორი –** მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

5. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის საფუძველზე. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

## თავი II. დოქტორანტურაში სწავლა

### მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაცვით.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში.
4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა („უცხო ენის ცოდნის განმარტება, შესაბამისი სერტიფიკატებისა და ქულების ნუსხა“. იხ. თსუ აკადემიური საბჭოს №245/2018 დადგენილების დანართი №2).
5. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ქართულს, მოეთხოვება ქართული ენის C1 დონეზე ცოდნა.
6. დოქტორანტს აქვს უფლება, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს ვიწრო სფერო. აღნიშნულ საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე და სადოქტორო პროგრამის იმ ვიწრო სფეროს ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს. სადოქტორო პროგრამის ვიწრო სფეროს შეცვლის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის ვიწრო სფეროზე მიღების ყველა წინაპირობას.
7. მობილობის წესით სადოქტორო პროგრამის შეცვლის მსურველი დოქტორანტი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე მიღების ყველა წინაპირობას.
8. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა შიდა მობილობის ფარგლებში ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

## მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები და წესი

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ამ დებულებითა და შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.
3. დოქტორანტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.
4. დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიასთან, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. კომისიის წევრებს კანდიდატის საანკეტო მონაცემებს მოახსენებს და პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობებს აცნობს კომისიის თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში მოადგილე). კომისია დადგენილი კრიტერიუმებით აფასებს დოქტორანტობის კანდიდატს (იხ. დანართი „შეფასების კრიტერიუმები“).
5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისა და კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე კანდიდატთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს.
6. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს – კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის ბრძანებას.
7. პროგრამის სწავლების ენისა და უცხო ენის გამოცდის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ს საგამოცდო ცენტრი. უცხო ენასა და პროგრამის სწავლების ენაში საგამოცდო ტესტების მომზადებასა და საგამოცდო ნაშრომების გასწორებაზე პასუხისმგებელია თსუ-ს ენების შემსწავლელი ცენტრი.

## მუხლი 5. სადოქტორო პროგრამა

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
2. ფაკულტეტი დოქტორანტურაში მიღებას აცხადებს კონკრეტულ სადოქტორო პროგრამებზე.
3. სადოქტორო პროგრამა განსაზღვრავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს.
4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.

5. სადოქტორო პროგრამაში ჩართულ დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელიც მიესადაგება შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის პრობლემატიკას/სფეროს.
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მათი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტს.

**მუხლი 6. სადოქტორო პროგრამის სახეები**

1. სადოქტორო პროგრამა შეიძლება იყოს დარგობრივი, ინტერდისციპლინური ან თემატური.
2. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და/ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
3. ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ-ს რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს.
4. სადოქტორო პროგრამები შეიძლება გაერთიანდეს სადოქტორო სკოლებში, ინტერდისციპლინურ ცენტრებში და ა.შ.

**მუხლი 7. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი**

1. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი შეიძლება იყოს თსუ-ს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის ან კათედრის აკადემიური პერსონალის საერთო შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი ან კოორდინატორი.
3. შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, მათ შორის სამეცნიერო ინსტიტუტის წამყვანი, მთავარი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ან მოწვეული პირი.
4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის (შემდგომში კომიტეტი) წევრები. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას და სადოქტორო პროგრამის განხილვას შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე.
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი არის ძირითადი საკონტაქტო პირი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან,

რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და კომიტეტთან თანამშრომლობით ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს ევალება: სტუდენტის ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ.
7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ან კოორდინატორი.
8. სადოქტორო პროგრამის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია თსუ-ს რეგულაციებით.

**მუხლი 8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი**

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.
3. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში. თუ დოქტორანტს ჰყავს მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ის უნდა იყოს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი ან ემერიტუსი პროფესორი.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 7 დოქტორანტს.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/კოორდინატორთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.
6. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას.
7. თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის საბჭოს.
8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.

სადისერტაციო თემის სათაურში ცვლილების შეტანის საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო.

## მუხლი 9. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა და ჩაბარების ვადები

1. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს მისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კრედიტების რაოდენობა და შეასრულოს კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. დოქტორანტს, რომელიც დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, უფლება ეძლევა დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლა დამატებით სემესტრებში. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი დამატებით სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტი შეადგენს არაუმეტეს 60 ECTS კრედიტს. კვლევითი კომპონენტი კი ითვალისწინებს 2 სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს და სადისერტაციო ნაშრომს.
4. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში.

## მუხლი 10. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის.
2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს/მოდულებს.
3. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი კურსებიდან/მოდულებიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულოა:
   ა) ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია (5 კრედიტი);
   ბ) დარგობრივი სემინარი[1] (15 კრედიტი);

---

[1] სადოქტორო დარგობრივი სემინარი იქმნება ფაკულტეტის სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები/ კოორდინატორები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. სადოქტორო დარგობრივი სემინარის მონაწილეები საჯარო განხილვისთვის წარმოადგენენ მოხსენებებს დარგის სხვადასხვა აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე.
სადოქტორო დარგობრივი სემინარი არის სასწავლო კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის კვლევითი უნარების გამომუშავებას. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.
სადოქტორო დარგობრივ სემინარზე წარმოდგენილი ნაშრომი სრულდება შესაბამის სამეცნიერო დარგში/სფეროში, დოქტორანტის მიერ სადოქტორო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კვლევის მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე. ის ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ( იხ.

გ) პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი).

4. სასწავლო კომპონენტის დანარჩენი კურსები/მოდულები არის არჩევითი (მათ შორის აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის (5 კრედიტი), მეცნიერების მენეჯმენტი (5 კრედიტი), სწავლების მეთოდები (5 კრედიტი) და სხვ.).
5. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ს ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული ლექტორი და ის უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სასემინარო/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში ამ აქტივობისათვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ ის აღნიშნულ სამუშაოს შეასრულებს ანაზღაურების გარეშე.
6. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 სამეცნიერო-კვლევით პროექტს[2] და სადისერტაციო ნაშრომს.
7. შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

---

დანართი – სემინარის შეფასების კრიტერიუმები) დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევართა მიერ.

[2] დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის პროგრამის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევი თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები.

კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით (იხ. დანართი – სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები) დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევართა მიერ.

კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დისერტაციის წარდგენამდე.

## თავი III. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება და მუშაობის წესი

### მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭო

1. განიხილავს შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის მიერ შერჩეულ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა კანდიდატურებს და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის რეკომენდაციით შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
3. ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის დაცვის თარიღს.
4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხს განიხილავს შესაბამის ს/ს ინსტიტუტში/კათედრაზე, ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურს დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში.
5. შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებით.
6. შეიმუშავებს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს.
7. ახორციელებს თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

### მუხლი 12. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
2. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას (იხ. დანართი – დისერტაციის რეცენზია).
3. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე) წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური/გერმანული/ფრანგული).
4. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.
5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე) წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
6. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე) უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს.
7. წარმოსადგენი სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (მაცნე) მოცულობა,

ფორმატი და ტექნიკური მონაცემები:

ა) მოცულობა 40-50 გვერდი;

ბ) ფორმატი A4;

გ) შრიფტის სახეობა – Sylfaen, შრიფტის ზომა – 12;

დ) სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ; მარჯვნიდან 1,5 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ.

8. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას (იხ. დანართი ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია) ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

## მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. დოქტორანტი ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას.
2. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება აქვს აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს.
3. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

   ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს (იხ. დანართი – ნაშრომის ავთენტურობის დადასტურება);

   ბ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში (იხ. დანართი – შემაჯამებელი ანგარიში);

   გ) დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მაცნე – ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური/გერმანული/ ფრანგული);

   დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე (იხ. დანართი – ხელმძღვანელის დასკვნა);

   ე) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტის მიერ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

   ვ) ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვებული კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

   ზ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;

   თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის).
4. დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, მინიმუმ, სამი პუბლიკაცია. აღნიშნული პუბლიკაციებიდან ორი

გამოქვეყნებული უნდა იყოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულებებით) ბაზებში. მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს თავის დარგში კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი. აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

5. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.
6. დისერტაციის დაცვას მსვლელობას აძლევს ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ, ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები**

1. ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს ორ რეცენზენტს, რომლებსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება მესამე რეცენზენტი.
2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
3. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი ვალდებულია, ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
4. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად (იხ. დანართი – დისერტაციის რეცენზია).
5. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შესწორებული ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

## მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1. ფაკულტეტის დეკანი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ემერიტუსი პროფესორებისაგან ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი მიმართულების/დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/დარგში/სპეციალობაში.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების/დარგის წარმომადგენელი/სპეციალობის მქონე პირი საქართველოდან ან/და უცხოეთიდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.
5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები დისერტაციის დადებითად რეცენზირების შემთხვევაში არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში ეცნობიან ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაცემულ სადისერტაციო ნაშრომს.
6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისგან.
8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის უფლებამოსილება და მუშაობის წესი განსაზღვრულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით.

## მუხლი 16. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე, მინიმუმ, ერთი კვირით ადრე.
2. დისერტაციის **დაცვის ენა არის ქართული,** თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას).
4. დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით

(დანართი – დაცვის ოქმის ფორმა. იხ. თსუ აკადემიური საბჭოს №116/2018 დადგენილების №2 დანართი).

5. იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტისა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

**მუხლი 17. დისერტაციის შეფასება**

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

   ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა;

   ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

   გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

   დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

   ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

   ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;

   ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

**მუხლი 18. ხარისხის მინიჭება და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება**

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
3. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის დეკანი.
4. ფაკულტეტი ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური და ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.
5. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცედურის ამსახველი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია ინახება ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.

## თავი IV. გარდამავალი დებულებები

**მუხლი 19. გარდამავალი დებულებები**

1. ფაკულტეტზე მოქმედ აკრედიტებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება მათი რეაკრედიტაციის, ასევე პროგრამის სასწავლო კომპონენტის ცვლილებების შემთხვევაში.
2. 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც განხორციელდება უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №245/2018) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
3. 2021-2022 სასწავლო წლიდან შეეზღუდოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალს, რომელიც ხელმძღვანელობს აქტიური სტატუსის მქონე 7-ზე მეტ დოქტორანტს.

## თავი V. დასკვნითი დებულებები

### მუხლი 20. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებას შეიმუშავებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ–ს აკადემიური საბჭო.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

### მუხლი 21. დებულების მიღება და ამოქმედება

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება ამოქმედდება აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**დანართი №2**

## უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Reference for Languages) (www.languagetesting.com)მიხედვით

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org) ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო). მესამე დონე ითვლება ენის ფლობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე შეუძლია თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას შეეძლია როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას მეტად აქვს განვითარებული მოქნილობა და უნარი, რათა შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა უცვლელ ენობრივ ერთეულებს და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას თავაზიანობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა საუბრობდეს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არააკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგიერთ სფეროში განსაკუთრებით ტურიზმში.

**B2 -ის მიხედვით ენის გამოყენების თვისებრივი ასპექტები შემდეგია:**

| დიაპაზონი | სიზუსტე | გაბმულობა | ინტერაქცია | კოჰეზია |
|---|---|---|---|---|
| აქვს საკმაო ლექსიკური მარაგი, რათა შეძლოს გასაგებად და გაბმულად, რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, წყვეტის (სიტყვების ძებნის) გარეშე გამოხატოს თვალსაზრისი. | ავლენს გრამატიკის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს, არ უშვებს შეცდომებს, რომლებიც იწვევენ გაუგებრობას და თავადვე ასწორებს საკუთარი შეცდომების დიდ ნაწილს. | შეუძლია გაბმულად ისაუბროს საშუალო ტემპით, დასაშვებია მცირე შეფერხება გამოთქმების 'შერჩევისას' და იშვიათად გრძელი პაუზის გამოყენება. | შეუძლია წამოიწყოს დისკუსია, დაიცვას რიგითობა და დაასრულოს საუბარი, როდესაც ჩათვლის საჭიროდ, თუმცა შეიძლება ამ პროცესში დაუშვას შეცდომები. შეუძლია წამოიწყოს და წარმართოს დისკუსია მისთვის ნაცნობ საკითხებზე, ა.შ. | შეუძლია კოჰეზიური საშუალებების შეზღუდული რაოდენობის გამოყენება და გასაგები, კოჰერენტული დისკურსის ჩამოყალიბება, თუმცა დასაშვებია გარკვეული შეცდო-მებიც. |

**მოსმენა**

შემსწავლელს შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება მისთვის ნაცნობ ან უცნობ თემებზე პირადი, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და პროფესიული სფეროებიდან. მხოლოდ ძლიერ ფონურ ხმაურმა ან არასწორად აგებულმა დისკურსმა ან/და რთულ იდიომატურ ერთეულთა გამოყენებამ შეიძლება იქონიოს გავლენა ნათქვამის გაგებაზე. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ლექცია მისთვის ნაცნობ თემაზე, ასევე შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების ძირითადი არსის გაგება, თუკი ამ მოხსენების თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ტელე/რადიო გადაცემების ძირითადი შინაარსი. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ჩვეულებრივი ტემპით წარმოთქმული განცხადება აბსტრაქტულ თემებზე.

**კითხვა**

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; შეუძლია იკითხოს დამოუკიდებლად, შეცვალოს და მიუსადაგოს კითხვის სტილი და ტემპი ტექსტის ტიპსა და კითხვის მიზანს, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი დასამოწმებელი წყაროები. აქვს ფართო და აქტიური ლექსიკური მარაგი, მაგრამ შეიძლება შეექმნას პრობლემა იშვიათად გამოყენებული იდიომების დეკოდირებისას. შეუძლია წაიკითხოს და კარგად აღიქვას საკუთარ ინტერესებთან ან სპეციალობასთან დაკავშირებული კორესპოდენციის ძირითადი აზრი; სწრაფად ამოიცნოს ახალი ამბების შინაარსი და მნიშვნელობა; შეუძლია გაიგოს გრძელი, რთული მითითებების არსი საკუთარი სპეციალობის ფარგლებში, ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების განმეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია, აღიქვას საკუთარი სპეციალობის სპეციფიკური წყაროების ძირითადი აზრი; ლექსიკონზე დაყრდნობით და ტერმინოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაციის დასადასტურებლად შეუძლია გაიგოს სამეცნიერო სტატიების აზრი მეცნიერების სხვა მიმართულებებიდანაც; შეუძლია წაიკითხოს სტატიები და მოხსენებები, რომლებიც გამოხატავენ გარკვეული თანამედროვე პრობლემის შესახებ ავტორის აზრს.

**საუბარი**

შემსწავლელს აქვს სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევის გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. შემსწავლელს აქვს ფართო სპექტრის თემებზე გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების, პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი. შემსწავლელმა შესაძლოა წინადადების აგებისას დაუშვას უმნიშვნელო შეცდომები, რომელთა აღმოფხვრა თვითონვე შეუძლია.

**წერა**

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს წერილი, ესე, რომელშიც გამოკვეთს მოვლენებისადმი პირად დამოკიდებულებას და აღწერს პირად გამოცდილებას. შეუძლია შექმნას გასაგები, დეტალური ინფორმაციის შემცველი, სტრუქტურირებული ტექსტი მისთვის საინტერესო საკითხზე, გადასცეს

ინფორმაცია ან დაასაბუთოს საკუთარი დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისი გარკვეული პრობლემის შესახებ. შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზის საშუალებით ტექსტის დაწერა.

B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანული ენა | Goethe - Zertifikat B2 | | | | | |
| | Deutsches Sprachdiplom (DSD) | | | | | |
| | TestDaF-Niveaustufe 3* (TDN 3) | | | | | |
| | DSH 1 | | | | | |
| | UNIcert II | | | | | |
| | telc B2 | | | | | |
| ინგლისური ენა | **TOEFL Paper** | **TOEFL CBT** | **TOEFL IBT** | **IELTS** | **FCE** | **CERTUS** |
| | 513 - 547 | 183 - 210 | 65 - 78 | 5.5 – 6.5 | 161 -180 | 72 -88,25 |
| ფრანგული ენა | Diplôme d'Etudes en Langue Française DELF B2 (51-დან) | | | | | |

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების B2 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ.

ამ ენებში გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

## უცხო ენის C1 დონეზე ცოდნის განმარტება

„ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) (www.alte.org) და CEFRL (Common European Framework of Refernce for Languages) (www.languagetesting.com)მიხედვით

### C1 ზოგადი დახასიათება

C1 დონე შეესაბამება ენის ფლობის უმაღლეს დონეს და გულისხმობს სამსახურსა და სწავლასთან დაკავშირებული რთული დავალებების ეფექტურ გადაჭრას. უფრო დაწვრილებით, CEFRL მიხედვით, C1 დონე გულისხმობს:

დიდი ზომის, რთული ტექსტების გაგებას და სრულყოფილად აღქმას, სიღრმისეული, იმპლიციტური ინფორმაციის დეკოდირებას. აზრის სპონტანურ და ძალდაუტანებელ გამოხატვას, კონტექსტისათვის შესაბამისი გამონათქვამის შერჩევას შესამჩნევი შეყოვნების გარეშე. ენის ეფექტურ გამოყენებას სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისათვის. ადვილად გასაგები, კარგად სტრუქტურირებული, დეტალიზებული ტექსტის შექმნის უნარს რთულ და კომპლექსურ თემებზე, რომელიც დაფუძნებული იქნება მართებულ და ადეკვატურ ტექსტის მაორგანიზებელ ერთეულებზე, მაკავშირებლებსა და კოჰეზიურ საშუალებებზე.

### მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი საუბარი აბსტრაქტულ, რთულ, მისთვის ნაკლებად ცნობილ თემებზე, თუმცა შეიძლება დასჭირდეს გარკვეული დეტალების დაზუსტება, მით უფრო, თუ მოსაუბრის აქცენტი მისთვის ნაკლებად ცნობილია; შემსწავლელი ფლობს იდიომატური და კოლოკვიალური გამოთქმების დიდ რაოდენობას და გრძნობს რეგისტრის ცვალებადობას. მას შეუძლია რთული ტექნიკური ინფორმაციის აღმა და გაგება, რთული და დიდი მოცულობის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტები და მათი სტილური თავისებურებები; ასევე კონკრეტული ინფორმაციის გაგება საზოგადოებრივ ადგილებში მიწოდებული განცხადებებიდან ხმაურისა და ცუდი სმენადობის მიუხედავად; ტელე- და რადიოგადაცემების/სხვადასხვა პროგრამის/ფილმების მცირე ნიუანსების თითქმის თავისუფლად გაგება ენის არასტანდარტული გამოყენების პირობებშიც კი. შემსწავლელს დაუბრკოლებლად შეუძლია გაიგოს რთული მსჯელობა ჯგუფური განხილვის/დისკუსიის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თემა მისთვის უცნობია. შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახისა და შინაარსის ტექსტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არასალიტერატურო ენითაა წარმოთქმული ან შეიცავს უცხო ტერმინოლოგიას.

### კითხვა

შემსწავლელს შეუძლია დაწვრილებით გაიგოს დიდი მოცულობისა და რთული მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტი/ვრცელი ინსტრუქცია იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ისინი მისი ინტერესების/პროფესიული საქმიანობის სფეროს. ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდება რთული მონაკვეთების გამეორებით გადაკითხვა ან ლექსიკონის დახმარება. შემსწავლელს შეუძლია ყველა სტილის (არქაული ფორმების ჩათვლით) წერილობითი კომუნიკაციის

შედეგად წარმოქმნილი ენობრივი ერთეულის გაგება და სწორი ინტერპრეტაცია. ასევე, შეუძლია სწორად გაიგოს ვრცელი, რთული ტექსტი სოციალურ, პროფესიულ და ზოგადსამეცნიერო პრობლემებზე; კერძოდ, აღიქვას ურთიერთდამოკიდებულებებისა და თვალსაზრისების ფარული და ექსპლიციტური ნიუანსები.

## მეტყველება

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა თავისუფლად, მოუმზადებლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. იგი ფლობს მრავალფეროვან ლექსიკურ საშუალებებს, რომელიც აძლევს საშუალებას სიტყვა ხატოვნად ახსნას ან მისი განმარტებით/სინონიმით ჩაანაცვლოს, ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა იუმორისტული და სტილისტური ხერხი; ზოგჯერ რთულ თემატიკას შეუძლია დააბრკოლოს საუბრის დონის შესაფერის დონეზე წარმართვა. შემსწავლელს შეუძლია სპეციფიკური დებულებების კრიტიკული ანალიზი; საუბარი/პრეზენტაცია/მოხსენება ამ დებულების სხვადასხვაგვარ განვითარებაზე ადეკვატურ მაგალითებზე დაყრდნობითა და მსჯელობით; პრეზენტაცია რთულ თემაზე. შეუძლია სხარტად და თავისუფლად უპასუხოს შეკითხვებს და ადეკვატურად იმოქმედოს იმ შემთხვევაშიც, თუ მას საუბარს შეაწყვეტინებენ; შეუძლია დიალოგის წარმართვაც. იგი მუდმივად იცავს გრამატიკული სისწორის დონისათვის შესაფერის გრამატიკულ ნორმებს; იშვიათად უშვებს შეცდომებს, ხოლო შეცდომის დაშვები სშემთხვევაში, სწრაფადვე ასწორებს მას. მას ასევე შეუძლია შინაარსის სიზუსტის დაცვისათვის სწორი მახვილისა და ინტონაციის გამოყენება.

## წერა

შემსწავლელს შეუძლია კარგად სტრუქტურირებული, ორგანიზებული, ნათლად ფორმულირებული ტექსტის დაწერა განსხვავებული, დონის შესაფერისი ადეკვატური ენობრივი საშუალებისა თუ კონტექსტისათვის რელევანტური სტილისა და რეგისტრის გამოყენებით, მაგალითებისა და არგუმენტების მოშველიებით. შემსწავლელს ასევე შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად გამოხატოს საკუთარი აზრი არაოფიციალური სტილის/რეგისტრის ტექსტებსა თუ პირად წერილებში, სწორად შეარჩიოს და გამოიყენოს ენობრივი მასალა სხვადასხვა განწყობის, ემოციისა და მინიშნებების გადმოსაცემად. დასაშვებია მცირე უზუსტობები.

C 1 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ქულების ნუსხა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანული ენა | Goethe - Zertifikat C1 | | | | | |
| | Deutsches Sprachdiplom (DSD) Stufe 2 (C 1) | | | | | |
| | TestDaF- Niveaustufe 4 (TDN 4) | | | | | |
| | DSH 2 | | | | | |
| | UNIcert III | | | | | |
| | telc C1 | | | | | |
| ინგლისური ენა | **TOEFL Paper** | **TOEFL CBT** | **TOEFL IBT** | **IELTS** | **CAE** | **CERTUS** |
| | 590 - 637 | 243 - 270 | 82 - 90 | 7 - 8 | 181-200 | 88,25-100 |
| ფრანგული ენა | Diplôme d'Etudes en Langue Française DALF C1 (51-დან) | | | | | |

ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების C1 (ALTE/CEFR) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ვადიანი/უვადო) ათავისუფლებს კანდიდატს შესაბამის ენაში გამოცდიდან. სერტიფიკატის აღიარება და გამოცდიდან გათავისუფლება ხორციელდება თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ.

ამ ენებში გამოცდიდან ასევე თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხური გავლილი აქვთ ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შესაბამის პროცედურას უზრუნველყოფს და გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დოქტორანტობის კანდიდატის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების შეფასება კრიტერიუმების მიხედვით[1]

დოქტორანტობის კანდიდატი _____

სადოქტორო პროგრამა _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი _____

დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელი _____

| № | კრიტერიუმი | ქულები | შეფასება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სამეცნიერო პრობლემის წარმოჩენის უნარი | 1-10 | | |
| 2 | თეორიული ცოდნის ხარისხი | 1-5 | | |
| 3 | ემპირიული მასალის ფლობა | 1-5 | | |
| 4 | არგუმენტირების უნარი | 1-5 | | |
| 5 | პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე | 1-5 | | |
| 6 | მეტყველების კულტურა | 1-5 | | |
| 7 | დისკუსიის უნარი | 1-5 | | |

ქულათა ჯამი _____

კომისიის წევრის სახელი, გვარი _____

კომისიის წევრის ხელმოწერა _____

თარიღი _____

[1] შენიშვნა: თუ დოქტორანტობის კანდიდატი დააგროვებს 21 ქულაზე ნაკლებს, მისი კანდიდატურა აღარ განიხილება.

**დანართი №9**

# რეცენზია

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „----------“ დოქტორანტ ---------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის „----------„ შესახებ

რეცენზენტმა სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით:

1. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
2. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
3. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;
4. კვლევის მეთოდოლოგია;
5. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა.
6. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

**რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:**

1. ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება

1.1. ნაშრომის ტექნიკური მონაცემები

1.2. ნაშრომის კომპოზიცია

1.3. ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება

1.4. დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები

1.5. ციტირების ფორმატი

2. ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება

2.1. პრობლემის დასმა

2.2. ლიტერატურის შეფასება

2.3. ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება

2.4. კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი ნაწილის შედეგები

2.5. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

3. საკითხები, რომლებიც დამატებით  განმარტებას მოითხოვენ

4. შემაჯამებელი შეფასება

რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
## სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემები

1. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოიყენება შრიფტი Sylfaen. ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაა – 12; ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი. ველები: ზედა ველი – 2 სმ., ქვედა ველი – 2 სმ., მარცხენა ველი – 3 სმ., მარჯვენა ველი – 1,5 სმ.
2. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილის ზღვრული მონაცემებია: 150-250 გვერდი (ან არაუმეტეს 400,000 სიმბოლოსი შუალედების გარეშე, სქოლიოების ჩაუთვლელად, თუ გამოყენებულია Chicago-ს ციტირების სტილი).
3. წყაროების მითითებისას დოქტორანტს შეუძლია გამოიყენოს APA-ს ან Chicago-ს აკადემიური სტილი ყველა შესაბამისი ნორმის დაცვით.

## სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი

**1. საწყისი ნაწილი –** ნაშრომის საწყისი გვერდები (თავფურცლის გარდა) ინომრება რომაული ციფრებით:
1.1. თავფურცელი – თავფურცელზე უნდა მიეთითოს: უნივერსიტეტის სახელწოდება; ფაკულ-ტეტის სახელწოდება; შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი (საჭიროების შემთხვე-ვაში კათედრაც); სადოქტორო პროგრამის სახელწოდება; ავტორის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის სათაური და შემდეგი შინაარსის ტექსტი: „ - - - - - - - - - დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია“ (გამოტოვებული ადგილის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს შესაბამისი დარგი); სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი; ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი (ნიმუში მოცემულია დოკუმენტის ბოლოში).
1.2. აბსტრაქტი – იდენტური ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართული აბსტრაქტის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას).
1.3. შინაარსი – შინაარსში შედის სადისერტაციო ნაშრომის ყველა ნაწილი მათი თანმიმდევ-რობის შესაბამისად.
1.4. ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი – თითოეული ცხრილი, გრაფიკი და სხვა თვალსაჩინოება უნდა იყოს დასათაურებული და დანომრილი. ჩამონათვალ-ში უნდა მიეთითოს სათაური, ნომერი და გვერდი.
1.5. აბრევიატურებისა და შემოკლებათა ჩამონათვალი – აბრევიატურებისა და შემოკლებათა სრული ჩამონათვალი და მათი განმარტებები.

**2. ძირითადი ნაწილი:** ნაშრომის ძირითადი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით (დანომრვა იწყება 1-ით).
2.1. შესავალი: შესავალში მოცემული უნდა იყოს საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა (კვლევის მნიშვნელობა); კვლევის მიზანი; ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები; კვლევის მე-თოდოლოგია; წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.
2.2. კვლევითი ნაწილი: დოქტორანტის შეხედულებისამებრ თავებად და ქვეთავებად დაყოფი-ლი ლოგიკურად სტრუქტურირებული კვლევითი ნაწილი.
2.3. დასკვნა: დასკვნაში შეჯამებული უნდა იყოს კვლევის შედეგები.

**3. დასკვნითი ნაწილი:**
3.1. ბიბლიოგრაფია – ბიბლიოგრაფიაში შეტანილი უნდა იყოს ყველა ის ნაშრომი თუ მასალა, რომლებიც მითითებულია დისერტაციის ძირითად ნაწილში. რეკომენდებულია ბიბლიოგრაფიის დაყოფა შემდეგი სახით: წყაროები და დოკუმენტური მასალები; მემუარული ლიტერატურა; სამეცნიერო ლიტერატურა (მათ შორის, ელექტრონული წიგნები

და სტატიები ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებში); პერიოდული პრესა (მათ შორის, ელექტრონული); აუდიო და ვიდეომასალები. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტს შეუძლია სხვა ქვეკატეგორიების გამოყოფა. ყველა გამოყენებული ნაშრომი – ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები – უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით (ქვეკატეგორიების მიხედვით) და დაინომროს. დაუშვებელია ბიბლიოგრაფიაში ისეთი ნაშრომის ან მასალის შეტანა, რომელიც არ არის მითითებული ძირითად ნაწილში.

3.2. დანართი – დანართის სახით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას მასალა, რომლის სრული მითითება ძირითად ნაწილში არ არის მიზანშეწონილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
_____ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

**სადოქტორო პროგრამა:**

**დოქტორანტის სახელი და გვარი**

# სადისერტაციო ნაშრომის სათაური

_____ დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თბილისი
წელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს

სადოქტორო პროგრამის „_____“
დოქტორანტ _____ (სახელი, გვარი)

განცხადება

გაცნობებთ, რომ ჩემ მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომი

„_____
_____“

წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგს და არ შეიცავს პლაგიატს/ გაყალბებულ მონაცემებს.

დოქტორანტის ხელმოწერა:
თარიღი:

**შემაჯამებელი ანგარიში**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა**

**„_____“**

**დოქტორანტ _____ შესრულებული სამუშაოს შესახებ**

## ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დოქტორანტურაში ჩარიცხვის თარიღი და ბრძანება | |
| სადისერტაციო ნაშრომის სათაური (თემის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითე-ბით; ასეთის არსებობის შემთხვევაში) | |
| სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) | |
| სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი (სახელი, გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა; ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) | |

## სასწავლო კომპონენტი

| № | სასწავლო კომპონენტის დასახელება | სასწავლო წელი/ სემესტრი | კრედიტების რაოდენობა | შეფასება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ჰუმანიტარული კვლევების მეთოდოლოგია | | | |
| 2 | პროფესორის ასისტენტობა | | | |
| 3 | დარგობრივი სემინარი | | | |
| | სხვა აქტივობა | | | |
| 4 | | | | |
| 5 | | | | |

## სამეცნიერო კომპონენტი

1. **ინფორმაცია სამეცნიერო კომპონენტის შესახებ**

| № | სამეცნიერო კომპონენტის დასახელება | სასწავლო წელი/სემესტრი | შეფასება |
|---|---|---|---|
| 1 | სამეცნიერო-კვლევითი პროექტი I | | |
| 2 | სამეცნიერო-კვლევითი პროექტი II | | |

**2. ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა და დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის შესაბამისობა საკვლევ თემასთან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
(აღწერეთ სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა. კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტი/სტაჟირება(ასეთის არსებობის შემთხვევაში): მიუთითეთ მიმღები ინსტიტუტის/ კვლევითი ცენტრის სახელწოდება და ქვეყანა, მივლინების/სტაჟირების განმავლობაში სამეცნიერო კონსულტანტის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და როლი სადისერტაციო ნაშრომის მიზნების მიღწევაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 400 სიტყვა).

**3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

| № | **სამეცნიერო ფორუმის დასახელება, ჩატარების თარიღი და ადგილი** | **მოხსენების სათაური** | **ელექტრონული მისამართი** |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |

**4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები:**

| № | **პუბლიკაციის სახეობა** (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვ.) | **პუბლიკაციის სათაური** (ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)) | **გამოქვეყნების წელი** |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |

**სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი**

აბსტრაქტს თან უნდა ახლდეს ავტორის გვარი და სახელი, ნაშრომის სათაური (ქართულ და ინგლისურ ენებზე). აბსტრაქტის ქართული ნაწილის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. საკვანძო სიტყვების რაოდენობა: 5 სიტყვა.

**1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა**
(თემის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის თემა მნიშვნელოვანი და აქტუალური; კვლევის მეცნიერული სიახლის/ინოვაციური მიდგომების აღწერა);
**2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები**
(აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები შედეგების მითითებით);

**3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია**
(კვლევის სტრუქტურის აღწერა; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა თემის მიზანი/მიზნებთან);

**4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა**
(დასაბუთეთ, რა გამოწვევების გადაჭრაზეა ორიენტირებული კვლევა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა ქვეყნის, რეგიონის ან მსოფლიოსათვის და პოტენციური გავლენა დარგსა და ფართო საზოგადოებაზე).

**დანართი №8**

**სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა**

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
---------- ფაკულტეტის
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „----------“ დოქტორანტ
---------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის „----------„ შესახებ

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).

2. დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა - 800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

**დანართი № 2**

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ---------- (თარიღი) №------ გადაწყვეტილების
საფუძველზე (ოქმი № -----) შექმნილი ---------- ფაკულტეტის
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „----------“ დოქტორანტ
---------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის
**ოქმი № -------**

**თარიღი, ჩატარების ადგილი.**

1. **სხდომაზე დამსწრე საზოგადოება** (სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, შემფასებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების *(გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა)* მითითება).

2. **დღის წესრიგის ფორმულირება** (---------- ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „----------“ დოქტორანტ --------- *(სახელი, გვარი)* სადისერტაციო ნაშრომის *(დასახელება)* დაცვა);

3. **კენჭისყრის ჩატარება** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ *(მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).*

4. **სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება** დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ *(მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).*;

*5.* **ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ** *(რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი, წარადგენს კომისიის მდივანი).*

*6.* **დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 30 წუთი; დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).*

7. **პირველი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს)*;

8. **დოქტორანტის პასუხი პირველი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);*

9. **მეორე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს*);

10. **დოქტორანტის პასუხი მეორე რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია*

*აღიწეროს ოქმში);*

11. **მესამე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია)** *(რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);*

12. **დოქტორანტის პასუხი მესამე შემფასებლის რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე)** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);*

13. **სამეცნიერო დისკუსია** (*თითოეული გამომსვლელის რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი; დოქტორანტის პასუხი - არაუმეტეს 5 წუთი; სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აღიწეროს ოქმში*).

14. **სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სიტყვა** *(ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი).*

15. **დოქტორანტის სიტყვა** (*რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი).*

*16.* **სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა** *(სადისერტაციო ნაშრომის შეფასება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე; დისერტაციის შეფასების საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადება).*

ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.

## დოქტორანტის სემინარის˙ შეფასების კრიტერიუმები

**პირველი კომპონენტი:**
**დოქტორანტის სემინარის შეფასება რეცენზენტის[1] მიერ**

**(მაქსიმალური შეფასება – 60 ქულა, დადებითი შეფასება – მინიმუმ 30 ქულა)**

| **კრიტერიუმი** | **კრიტერიუმის განმარტება** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| ნაშრომის აქტუალობა | ნაშრომში განხილული უნდა იყოს დარგის აქტუალური სამეცნიერო საკითხი/საკითხები | 10 |
| ნაშრომის სიახლე | სასემინარო ნაშრომში დოქტორანტმა უნდა გამოამჟღავნოს შესაბამის სამეცნიერო დარგში/ სფეროში კვლევის მეთოდოლოგიისა და საკვლევი პრობლემის ცოდნა და წარმოაჩინოს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით | 10 |
| პრობლემის ადეკვატური გააზრება, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, მასალის ფლობა (ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა) | დოქტორანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველ საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა | 10 |
| მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება | დოქტორანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით | 10 |
| ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი | დოქტორანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან, დოქტორანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრების, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი, ციტირების სტილის დაცვა | 10 |
| ნაშრომის ენობრივი მხარე | დოქტორანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა | 10 |

თანახმად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებისა №25/2011, სადოქტორო სემინარი არ შეიძლება იყოს დისერტაციის ნაწილი.

[1] დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის რეცენზენტი უნდა იყოს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი.

**მეორე კომპონენტი:**

**დოქტორანტის სემინარის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება**[1]

(მაქსიმალური შეფასება – 40 ქულა, დადებითი შეფასება – მინიმუმ 20 ქულა)

| **კრიტერიუმი** | **კრიტერიუმის განმარტება** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| სასემინარო ნაშრომის ორგანიზება და შინაარსის რელევანტურობა | პრობლემის იდენტიფიცირება და საკვანძო საკითხების გამოყოფა, ზეპირი გამოსვლის ორგანიზება, სათაურთან შესაბამისობა. | 10 |
| ანალიზის, არგუმენტირებისა და დისკუსიის უნარი | აზრის მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოყალიბება და არგუმენტირებული მსჯელობა; კორექტულობა ოპონენტთა და განსხვავებული აზრის მიმართ. | 10 |
| საკომუნიკაციო უნარები | აუდიტორიის ფლობა | 5 |
| მეტყველების კულტურა | გამართულად საუბარი, შესაბამისი სტილისა და ტერმინოლოგიის გამოყენება | 5 |
| ტექნიკური და ვიზუალური მხარე, რეგლამენტი | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი, რეგლამენტის დაცვა | 10 |

**სასემინარო ნაშრომის საბოლოო შეფასება უდრის** ორივე კომპონენტის შეფასებების ქულათა ჯამს. **დადებით შეფასებად ითვლება 51 ქულა და მეტი.**

[1] მეორე კომპონენტი ფასდება საჯარო პრეზენტაციაზე შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით.

## დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის* შეფასების კრიტერიუმები

**პირველი კომპონენტი: დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასება რეცენზენტის[1] მიერ**

**(მაქსიმალური შეფასება – 60 ქულა, დადებითი შეფასება – მინიმუმ 30 ქულა)**

| **კრიტერიუმი** | **კრიტერიუმის განმარტება** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| ნაშრომის აქტუალობა | ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა იყოს აქტუალური და დარგისათვის მნიშვნელოვანი | 10 |
| ნაშრომის მეცნიერული სიახლე | ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს მეცნიერული სიახლით, დოქტორანტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პრობლემის კვლევაში | 10 |
| პრობლემის ადეკვატური გააზრება, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე, მასალის ფლობა | დოქტორანტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა განსახილველ საკითხზე და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ცოდნა, ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა | 10 |
| მსჯელობის არგუმენტირება და ციტირება | დოქტორანტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო მასალით | 10 |
| ნაშრომის ორგანიზება, ლოგიკურად აგება და მსჯელობის თანმიმდევრობა, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი | დოქტორანტს მოეთხოვება მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვა, ციტირების სტილის დაცვა, ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან, დოქტორანტმა უნდა გამოავლინოს მასალის კრიტიკული გააზრების, ფაქტების განზოგადებისა და გაანალიზების უნარი | 10 |
| ნაშრომის ენობრივი მხარე | დოქტორანტს მოეთხოვება აზრის ენობრივად ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა და ნაწერის სტილისტურად გამართვა | 10 |

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის კვლევითი კომპონენტი და წარმოადგენს დისერტაციის ნაწილს.

[1] დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის რეცენზენტი უნდა იყოს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი.

**მეორე კომპონენტი:**
**დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება**[1]

**(მაქსიმალური შეფასება – 40 ქულა, დადებითი შეფასება – მინიმუმ 20 ქულა)**

| **კრიტერიუმი** | **კრიტერიუმის განმარტება** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| პრეზენტაციის ორგანიზება და შინაარსის რელევანტურობა | ზეპირი გამოსვლის ორგანიზება (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა), სათაურთან შესაბამისობა, ფოკუსირება საკვანძო საკითხების წარმოჩენაზე | 10 |
| ანალიზისა და დისკუსიის უნარი | ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემის გადაჭრის გზების ანალიზი; აზრის მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი; კორექტულობა ოპონენტთა და განსხვავებული აზრის მიმართ. | 10 |
| საკომუნიკაციო უნარები | აუდიტორიის ფლობა | 5 |
| მეტყველების კულტურა | გამართულად საუბარი, შესაბამისი სტილისა და ტერმინოლოგიის გამოყენება | 5 |
| ტექნიკური და ვიზუალური მხარე, რეგლამენტი | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი, რეგლამენტის დაცვა | 10 |

**ნაშრომის საბოლოო შეფასება უდრის** ორივე კომპონენტის შეფასებების ქულათა ჯამს.
**დადებით შეფასებად ითვლება 51 ქულა და მეტი.**

[1] მეორე კომპონენტი ფასდება საჯარო პრეზენტაციაზე შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით.